ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

საკრებულოს წევრის ზაალ მამალაძის 2019 წლის ანგარიში

შესავალი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, აირჩეულ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის – საკრებულოს 38 წევრი, აქედან 23 წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 15 წევრი – პროპორციული წესით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 20 ნოემბერს შედგა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.

წარმოგიდგენთ 2019 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც არის კარგი შესაძლებლობა შევაჯამოთ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა და განვსაზღვროთ სამომავლო გეგმები, ჩვენს თანამოქალაქეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასრულებულ და მიმდინარე პროექტებზე, სხვადასხვა პროგრამებზე და სამომავლო გეგმებზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- ✓ საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა;
  გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- ✓ საკრებულოს წამომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება;

VI მოწვევის საკრებულოს მიერ განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია და 7 ფრაქცია.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- ✓ საკრებულოს 14 სხდომა
- ✓ საკრებულოს ბიუროს 14 სხდომა

საკრებულოს სხდომებზე მიღებულ იქნა, 59 განკარგულება და 7 დადგენილება

საკრებულოს კომპეტენციის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- ✓ განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ✓ მუნიციპალური ქონების მართვა;
- ✓ გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
- ✓ ინფრასტრუქტურა
- ✓ მოქალაქეთა ჩართულობა

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მუნიციპალიტეტში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 1 613 000 ლარით გაიზარდა, რამაც მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები გააფართოვა. თანხები, ძირითადად მიმართულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება:

- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლისთვის ნინო რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის(ისტორიულ უბანი - ბახმარო) სახელის - ბახმარო მინიჭების შესახებ.
- ✓ სოფ.ზემოფარცხმის N1 ქუჩას მიენიჭა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის სახელი.

ინფრასტრუქტურა

2019 წელი:

დაიგო ასფალტი - 14 კმ;

ბეტონის საფარი - 1223 გ.მ.;

გაკეთდა 4 677საავტომობილო ხიდი;

გაიხსნა 3 საბავშვო ბაღი (ბუკისციხე, ბასილეთი, ზომლეთი);

შუასურებში აშენდა ახალი სკოლა, ხოლო 11 საჯარო სკოლას აუტარდა რეაბილიტაცია;

1700-ზე მეტი აბონიმენტის გაზიფიცირება განხორციელდა, ხოლო სოფლებში: ვანი, ზომლეთი, ბუკნარი, ბასილეთი მიმდინარეობს გაზიფიცირებ;ა

აშენდა 2 ახალი სამედიცინო ამბულატორია, ხოლო რეაბილიტაცია განხორციელდა 5 სოფელში;

მოეწყო 3 სპორტული მოედანი;

მოეწყო გარე-განათებები;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან და საქმველმოქმედო ფონდი „ქართუ“ - განხორციელდა სოფ. გორაბერეჟოულში არსებული ერისტავების სასახლისა და ეზოს რეაბილიტაცია.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, რომელიც განისაზღვრავს, სოციალური დახმარების სახეებს და რომლის შესაბამისადაც მიმდინარე წელს დახმარება გავუწიეთ არაერთ მოქალაქეს.
2019 წელს ხარჯმა შეადგინა 677 ათასი ლარი;

მოქალაქეთა ჩართულობა

- ✓ ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ რომელიც ფინანსდებოდა UNDP- გაეროს განვითარების ფონდის მიერ. 2018 წლიდან მიმდინარე 2019 წელსაც ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლიაცია.
- ✓ პროექტის ფარგლებში საკრებულოს გადაეცა მონიტორი სხდომათა დარბაზისთვის, ნოუთბუქი, ვიდეოთვალი და შტატივი, ასევე სამ სოფელში (ერკეთი, ხიდისთავი, ამაღლება) დაიდგა მონიტორები, რომ მოსახლეობას შესაძლებლობა ქონოდა დაინტერესების შემთხვევაში თვალი ედევნებინა საკრებულოს სხდომებისათვის და სოციალური ქსელის საშუალებით დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიაცია.

- ✓ შეხვედრები იმართებოდა სოფლებში, როგოც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ასევე საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად გაიმართა ღია შეხვედრები.

- ✓ სოფლებში დასახლების საერთო კრებები

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, ყველაზე მეტი აქტივობა პეტიციების სახით გამოიხატა, მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა პეტიციები, რომელიც განხილვის ეტაპზეა

მუნიციპალიტეტი ჩაერთო პროექტში „წმინდა წყალი!“, რომელსაც ახორციელებს ა(ა)ი.პ „ post- ალიონი“ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტთან - NDI ერთად , რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელში(ბუკისციხე, იანეული, შუამაღლება, შუაფარცხმა და ხიდისთავი) სასმელი წყლის ხარისხის დადგენა/გაუმჯობესების ადვოკატირებას.

- 2019 წელსაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობდა აზიურ ფაროსანასან ბრძოლის სამუშაოები, თერმული ნისლით შეწამვლის პროცესი ყველა სოფელში ერთდროულად დაიწყო. სამუშაოებში ჩართული იყო რამდენიმე ერთეული სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, რათა რომ გამოზამთრების წინ მაქსიმალურად შემცირებულიყო მავნებლის რიცხოვნობა. აღნიშნულ აქციას კოორდინირებას უწევდა ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის წევრები და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები. ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად იყვნენ ჩართული მერის წარმომადგენლები.

ინიციატივები:

- ✓ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივის საფუძველზე, 2019 წლის 18 იანვარს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ბახმაროს დასახლება და მას დაბის სტატუსი მიენიჭა.

- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით სოციალურ ქსელში შექმნილია ვებგვერდი ,,გახდი ჩოხატაურის მოხალისე", რომელშიც ჩართული არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვორები ახალგაზრდები და დაგეგმილი და განხორციელებულია სხვადასხვა მოხალისეობრივი აქტივობები;

- ✓ საკრებულოს ინიციატივით განხორციელდა დუმბაძე გურამიშვილის შემაერთებელი ხიდის მშენებლობა, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კუთხით, ბაზრის, მისი მიმდებარე ტერიტორიის განვითარებისათვის და დაბისთვის შემოვლითი გზის პერსპექტივის გაჩენით.

- ✓ საკრებულოს ინიციტივით მთავრობის გადაწყვეტილებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაიწყო მშენებლობა და ფუნქიონირებას დაიწყებს პროფესიული განათლების ცენტრი, ცენტრი აშენდება ორ ლოკაციაზე, სოფელ გორაბერეჟოულში სოფლის მეურნეობის სეგმენტისთვის და დაბაში გურამიშვილის ქუჩაზე სასოფლო ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციისათვის, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ახალგაზრდების განათლებისთვის, სხვადასხვა მიმართულების სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მოსახურების სფეროსა და სხვა მიმართულებებით რაც ზრდის დასაქმების პერსპექტივას;
- ✓ ჩოხატაურის პროფესიული სასწავლებლის პროექტირება და მშენებლობა;
- ✓ სოციალური დახმარების გაცემის წესში, 2-დან 16 წლამდე ბავშვებში აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსების გათვალისწინება;
- ✓ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური დახმარების გაცემის წესში ფულადი დახმარებისა და დაფინანსების გაცემის გათვალისწინება;
- ✓ საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, საერთაშორისო ვიზიტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ანსამბლი ,,ამაღლება" მიწვეულია პოლონეთის ქ.ლეჟაისკის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე;

საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს შეფასების სიტემა, 2019 წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეების შეფასება, უმრავლესობა უმაღლესი ქულით შეფასდა, აღნიშნულმა სისტემამ დადებითად იმოქმედა საჯარო მოხელეების პროფესიულ განვითარებაზე.

საკრებულოს წამომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, თანმშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანი ვიზიტები და აქტივობები.

საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან, თვითმმართველობის ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ურთიერთობების დამყარების, ასევე დაძმობილებულ და პარტნიორ ქალაქებთან ურთიერთობების წარმართვისა და მათთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობს სხვადასხვა საქმიან ვიზიტებში და მივლინენებში როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე. კონკრეტულად ვიზიტები განხორციელდა ვიზიტი ლიეტუვას რესპუბლიკაში, ქალაქ პასვალისში; ვიზიტი პოლონეთში, ქალაქ ლეჟაისკში; ვიზიტი ბულგარეთში, ქალაქ სტარაზაგორაში; ვიზიტი ფინეთში, ქალაქ ჰელსინკში; ვიზიტი ნორვეგიის სამეფოში;
მიღწეულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თანამშრომლობაზე, კერძოდ ტურიზმის, კულტურული და საგანმანათლებლო სფეროებში.

თანმშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს:

- ✓ სათემო ორგანიზაცია ,,ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრთან“
- ✓ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან;
- ✓ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI);
- ✓ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI);
- ✓ „ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან“ (NDI);
- ✓ ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან;
- ✓ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრთან;
- ✓ სახალხო დამცველის აპარატთან;
- ✓ ორგანიზაციასთან "Post-ალიონი„
- ✓ ქალთა საინფორმაციო ცენტრთან;
- ✓ Vhs DVV international

მუშაობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოში

- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 26 იანვარს მიღებულ იქნა N3 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;

- ✓ 2018 წლის 31 იანვარს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N21 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

- ✓ 2019 წელს ჩარტარებულია 4 სხდომა
- ✓ გასვლითი სხდომა სოფელ გოგოლესუბანში;

- ✓ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა: "ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის" წარმომადგენლებთან"; გამარჯვებულ ქალთა კლუბის" დამფუძნებელებთან, დაიგეგმა და განხორციელდა ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფუძნება;

- ✓ შეხვედრა შედგა ქალთა საინფორმაციო ცენტრის, ასევე ფონდი „სოხუმის წარმომადგენლებთან; ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ნინო წილოსანის ჩართულობით, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეროვნულ- დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენლებთან;

- ✓ საბჭოს წარმომადგენლებმა ჩოხატაურელ ქალ მეწარმეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ პროექტში -"მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი". პლატფორმას "ქალები გურიისთვის" ჩოხატაურელი მეწარმე ქალებიც შეუერთდნენ და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დაისახა, მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის;

- ✓ გენდერული საბჭოს აქტიურობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში პროგრამული კოდი მიენიჭა და ცალკე მუხლი ჩამოყალიბდა „4.2.7 გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული ხარჯი, მოხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყობა ძალადობის წინააღმდეგ კვირეული, დაფინანსდება გამარჯვებულ ქალთა კლუბის პროექტი.“ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ).

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია 5 კომისია:

- ✓ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;
- ✓ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;
- ✓ ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია;
- ✓ სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია;

კომისია:

- ✓ სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს;
- ✓ წინასწარ განიხილავს საკრებულოში შემოტანილ, მის სფეროს მიკუთვნებულ, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს; ამზადებს დასკვნებს ორგანიზებას უწევს და/ან მონაწილეობს მათ განხილვაში;
- ✓ აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- ✓ აკონტროლებს მერიის შესაბამისი მიმართულების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და შეფასებებს.

საკრებულოს კომისიების გამართული მუშაობის შედეგია, მუნიციპალური პროგრამების სწორი მიმართულების შერჩევა, განხორციელება და მოქალაქეთა პრობლემების გადაწყვეტა.

სამომავლო გეგმები

- ✓ იგეგმება ახალი ინიციატივების წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, მათ შორის, მუსიკალური სკოლისა და სამხატვრო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ.

- ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეროვნული პარკის შექმნა;
- ✓ გორაბერეჟოულში ჩოხატაურის პროფესიული სასწავლებლის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სასწავლო კორპუსის მშენებლობის დასრულება და დაბა ჩოხატაურში გურამიშვილის ქუჩაზე პროფესიული სასწავლებლის ძირითადი კორპუსის მშენებლობა;
- ✓ პროფესიული სასწავლებლისთვის სასწავლო პროგრამების პრიორიტეტებისა და სტრატეგიის განსაზღვრა;
- ✓ ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება და სტრატეგიის დოკუმენტის მიღება სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტოსთან“ ერთად;
- ✓ დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან და საქველმოქმედო ფონდ,,ქართუსთან“ ერთად;
- ✓ დაბა ბახმაროს გამრიცხველიანების სამუშაოების დასრულება და წყალმომარაგების პროექტირება;
- ✓ ლიტვის ქ.პასვალისის თვითმმართველობისა და ნორვეგიის ქ.დრანგედალის მონაწილეობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეთათვის გაცვლითი პროგრამების განხორციელება